გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 25

2024 წლის 9 თებერვალი
ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილების 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილების 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილების 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის 2 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილების 2023 წლის სამუშაო ანგარიში

ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებაში მუშაობს სამი თანამშრომელი: განყოფილების უფროსი და ორი სპეციალისტი.

ქალაქ გორში შუქნიშნების განახლების მიზნით მიმდინარე წლის დასაწყისში ორ ლოკაციაზე: სტალინის გამზირისა და თამარ მეფის ქუჩის გადაკვეთაზე და ცხინვალის გზ. და ტყვიავის, პუშკინის ქუჩების გადაკვეთაზე მოხდა შუქნიშნების შეცვლა, აღნიშნული სამუშაოების ღირებულება არის 365119,56 ლარი. რომელიც შეასრულა შპს „გზაჯვარედინმა" და ზედამხედველობა გაუწია განყოფილების თანამშრომლებისგან შემდგარი ინსპექტირების ჯგუფი.

დემონტაჟის შედეგად მიღებული შუქნიშნებისგან ტრანსპორტის განყოფილებამ შსს-ს საპატრულო დეპარდამენტის შიდა ქართლის სამართველოსთან შეთანხმებით მოამზადა პროექტი ქალაქ გორში ნინოშვილისა და პუშკინის ქუჩების კვეთაზე შუქნიშნების განთავსების შესახებ და ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს" მიერ განხორციელდა აღნიშნულ ლოკაციაზე შუქნიშნების განთავსება.

გორის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის მოწესრიგების და უსაფთხოების მიზნით საჭიროა საგზაო მონიშვნების დახაზვა, აქედან გამომდინარე განყოფილებამ მოამზადა ქალაქ გორის შემდეგი ქუჩების: სტალინის გამზირის; ფარნავაზ მეფის ქუჩის; სუხიშვილის ქუჩის; თბილისის ქუჩის; ჭავჭავაძის გამზირის; მშვიდობის გამზირის; შინდისის გმირების გამზირის; ცხინვალის გზატკეცილის; ტყვიავის ქუჩის; 26 მაისის სახელობისსანაპიროს; ამილახვარის ქუჩის; რობაქიძის ქუჩის; გორიჯვრის ქუჩის; კეცხოველის ქუჩის საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნების სახეობების და მოცულობითი უწყისი, რომელზე მოხდა ტენდერის გამოცხადება, ტენდერში გაიმარჯვა შპს „გზაჯვარედინმა" თანხით 126604.99 ლარი . საგზაო მონიშვნების სამუშაოები მიმდინარეობს ამჟამად, რომელიც დამთავრდება მიმდინარე წელს და ზედამხედველობა უწევს განყოფილების თანამშრომლებისგან შემდგარი ინსპექტირების ჯგუფი.

განყოფილების მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით გამოცხადა ტენდერი 60 ათასი ლარის ავტომობილის სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობების შემადგენელი მასალების, შესაბამისი საგზაო ნიშნებით შესყიდვაზე,რომელში გაიმარჯვა შპს „გზაჯვარედინმა" თანხით- 50058 (ორმოცდაათიათას ორმოცდათვრამეტი) ლარი და შესყიდული იქნა 230,4 გრძივი მეტრი ავტომობილის სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობა 108 საგზაო ნიშანი თავისი დგარებით, რომელიც ჩაბარებული იქნა განყოფილების თანამშრომლებისგან შემდგარი ინსპექტირების ჯგუფის მიერ.

განყოფილების მიერ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების შიდა ქართლის სამმართველოებთან ერთად შესწავლილი და მომზადებული იქნა საგზაო ნიშნების განთავსების საკითხი გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რომლის შედეგადაც გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ წლის განმავლობაში გამოსცა 18-მდე განკარგულება და გორის მუნიციპალიტეტში დამატებით მოეწყო 47-მდე საგზაო ნიშანი და აბრა.

განყოფილების მიერ შესწავლილი იქნა გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საერთაშორისო და შიდასახელმწიფო მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხები და აქედან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის მერიამ წლის განმავლობაში რამდენჯერმე მიმართა თხოვნით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, რის შედეგადაც დეპარტამენტმა გორის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, ათეულობით ლოკაციაზე დაამონტაჟა ან აღადგინა ავტომობილის სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობები, საგზაო ნიშნები და აბრები.

გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის მოწესრიგების და უსაფთხოების მიზნით საჭიროა საგზაო ნიშნების განთავსება, ამ მიზნით განყოფილებამ მოამზადა 50000 ლარის საგზაო ნიშნების შესყიდვის პროექტი საგზაო ნიშნების დასახელების და რაოდენობის მიხედვით, რომლითაც მოხდა ტენდერის გამოცხადება და გაიმარჯვა შპს „გზაჯვარედინმა", ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 49900 (ორმოცდაცხრაათას ცხრაასი) ლარს და მიმდინარე წელს გორის მუნიციპალიტეტის მერიას მოაწვდის 311 საგზაო ნიშანს და 210 დგარს.

ტრანსპორტისა და გარე რეკლამის განყოფილებამ, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოსთან" ერთად, შეიმუშავა მუნიციპალურ მარშრუტებზე ცვლილებები, სატესტო რეჟიმში მიმდინარეობდა რიგი მარშრუტებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების დადგენა, დღეის მდგომარეობით დადგენილია მუნიციპალური ტრანსპორტისათვის 16 მარშრუტი და 214 საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება, რომელიც საკრებულომ დაამტკიცა და მიმდინარე წელს დამატებით დამონტაჟდება და დაიხაზება საზოგადოებრივი გაჩერებების საგზაო ნიშნები და საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნები. განყოფილება აგრეთვე მონაწილეობას იღებს მუნიციპალური ტრანსპორტის მუშაობის გრაფიკების, სვლა-გეზების და ხარჯთაღრიცხვის შედგენაში და მონიტორინგს უწევს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს".

განყოფილება 2023 წლის განმავლობაში და ამჟამადაც ინსპექტირებას უწევს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „დელტა კონსალტინგს"- შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს, რომლის საგანია 36 ერთეული ავტომობილის სახელმწიფო ნომრის ამომცნობი, 102 ერთეული ზოგადი ხედვის, 11 ერთეული მართვადი ვიდეო სამეთვალყურეოკამერების მოვლა პატრონობა და 9 ერთეული ჩართვის წერტილიდან 20 ერთეული ვიდეო სამეთვალყურეო კამერის ვიდეო ნაკადის (IP Stream) ტრანსპორტირების უზრუნველყოფა შსს 112 (ქ. თბილისი) მონაცემთა დამუშავების ცენტრამდე.

განყოფილება ასევე კურირებს ქალაქ გორში ავტოტრანსპორტის პარკირების საკითხებს: ადგილების შერჩევა, შესაბამისი საბუთების მომზადება და საჯარო რეესტრში დარეგისტრირება, საგზაო ნიშნებისა და ჰორიზონტალური მონიშვნების დახაზვა და სხვა.

განყოფილებაში 2023 წელს შემოსულია 624 წერილი და კორესპოდენცია, რომელზეც დროულად განხორციელდა რეაგირება.